ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 5 ივნისი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი მისი დირექტორის გრიგოლ ლიფონავას სახით, შემდეგში „შემსყიდველი" და შპს"ნოვა-2017" მისი დირექტორის გია კვირკველიას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

„შემსყიდველი" ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი 2017 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს სამეურნეო საქონელს (შემდეგში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სამეურნეო საქონელი
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია – **16300000** მოსავლის ასაღები მანქანები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი- **16310000**-სათიბი მანქანები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2500 (ორიათას ხუთასი) ლარს**, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მოვლა-პატრონობის
ცენტრის დირექტორი:

გ.ლიფონავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო სამსახური
სახელმწიფო ხაზინა
კოდი 742857499
ს/კ 415092919

„მიმწოდებელი“

შპს „ნოვა-2017“

დირექტორი:

გ.კვირკველია

სს “თიბისი ბანკი“
ს/კ 415099663 ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE55TB7606736080100003

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	საერთო რირებულება ლარებში
1	სათიბი მანქანები	2500
	სულ:	2500

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მოვლა-პატრონობის
ცენტრის დირექტორი:

გ.ლიფონავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო სამსახური
სახელმწიფოს ხაზინა
კოდი: 742857199
ს/ კ 415092919

„მიმწოდებელი"

შპს „ნოვა-2017"

დირექტორი:

გ.კვირკველია

სს "თიბისი ბანკი"
ს/კ415099663 ბ/კTBCBGE22
ა/ა GE55TB7606736080100003

GEORGIA NOVA LTD 2017 415099663